



მიტროპოლიტი ილარიონი: აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ ქრისტიანობის არსებობა წმინდა მინაზე შენარჩუნდეს



2021 წლის 13 დეკემბერს იერუსალიმის პატრიარქი თეოფილე და სხვა ქრისტიანული ეკლესიების მეთაურები გამოვიდნენ განცხადებით, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება მიაპყრეს იმ საფრთხეს, რომელიც წმინდა მინაზე ქრისტიანთა არსებობას ემუქრება, რაც რადიკალური დაჯგუფებების საქმიანობითაა გამოწვეული, – კერძოდ, ძველი ქალაქის ქრისტიანული კვარტლის მთლიანობისა და კულტურული თავისებურების დარღვევის მცდელობებს, რაც საბოლოო ჯამში ქრისტიანული თემის იერუსალიმიდან განდევნას ისახავს მიზნად.

წმინდა მინაზე არსებული რთული ვითარების, ასევე იმ მძიმე პირობების შესახებ, რომელშიც ამჟამად ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანები იმყოფებიან, ისაუბრა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა

ტელეგადაცემაში „ეკლესია და საზოგადოება“, რომელიც ქრისტიანობის დღესასწაულზე, 7 იანვარს გავიდა ეთერში.

„ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანების მდგომარეობა ზოგადად შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ტრაგიკული – ბრძანა მწყემსთმთავარმა. – ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტიანთა რიცხვი კლებულობს ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში. ზოგან ეს კლება ძალიან სწრაფი და თვალშისაცემი ტემპით მიმდინარეობს, როგორც, მაგალითად, ერაყში, სადაც ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ქრისტიანების რიცხვი ერთნახევარი მილიონიდან უკეთეს შემთხვევაში ასორმოცდაათ ათასამდე შემცირდა. ზოგან ეს კლება ნაკლებ თვალშისაცემია, როგორც, მაგალითად, ლიბანში, სადაც უბრალოდ თანდათან იცვლება ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის თანაფარდობა“.

მეუფე ილარიონმა ასევე აღნიშნა, რომ ბეთლემში, ქალაქში, სადაც იესო ქრისტე იშვა –ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო ქრისტიანთა რიცხვმა.

„ჩვენ ვხედავთ, რომ ისრაელში არსებობს რადიკალური დაჯგუფებები, რომლებიც ცდილობენ განდევნონ ქრისტიანული ეკლესიები წმინდა მიწიდან“, – თქვა იერარქმა. შეახსენა რა მსმენელს, რომ იერუსალიმი სამი მსოფლიო რელიგიის –ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის წმინდა ქალაქია – მიტროპოლიტმა ილარიონმა განაცხადა, რომ აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ ქრისტიანთა არსებობა წმინდა მიწაზე შენარჩუნებული იქნეს, „რომ ქრისტიანები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად არ გრძნობდნენ თავს არც ისრაელში, და არც პალესტინაში, რომ შენარჩუნებული და დაცული იყოს ქრისტიანთა წმინდა ადგილები, რომ ქრისტიანებს არ ართმევდნენ მათ საკუთრებას და რომ რადიკალურ დაჯგუფებებს არ ჰქონდეთ ქრისტიანებზე თავდასხმისა და მათი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შესაძლებლობა“.

„ეს მონოდება განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა ჩვენ ქრისტეს შობას ვზეიმობთ“, – ხაზი გაუსვა მწყემსთმთავარმა.

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური